

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N9

ქ. თელავი

2022 წლის 21 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ბერძენაშვილი, დავით ლაღანიძე, ეკატერინე ონიკაძე, თენგიზ მთვარელიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზურაბ სახიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, მოქალაქეები: კობა კობაიძე, მარიამ სამადაშვილი, ლევან მახათელაშვილი, გიორგი აივაზაშვილი, ონისე ცხოვრებაძე, გიორგი შიომღვიმელი, მიხეილ ჯიბლაძე, გიორგი კუსრაშვილი.

დღის წესრიგი

1. ქ. თელავში ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩის მცხოვრებთა (ჯგუფის) სახელით შემოსული განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს: თ.ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. ქ. თელავში ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩის მცხოვრებთა (ჯგუფის) სახელით შემოსული განცხადების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის შემადგენლობა ატარებს კომისიის გასვლით სხდომას და განიხილავს ქალაქ თელავში ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების განცხადებას, რომლის მიხედვით მოსახლეობა ითხოვს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ

მწვანე ზონაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობას. კომისიის მიზანია, საკითხის სიღრმისეული მოკვლევა და იმ სივრცის დათვალიერება, რომელსაც ეხება მოსახლეობის მოთხოვნა.

მოქალაქე კობა კობაიძემ განმარტა, რომ ადგილზე შეკრებილ მუსხელიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს აქვთ მოსაზრება, რათა მათი ინიციატივით და უშუალო ჩართულობით, როგორც ფიზიკური შრომით და ასევე ფინანსური მონაწილეობით, ქუჩის მიმდებარე მწვანე ნარგავებით დაფარულ ტერიტორიაზე, რომელიც არის რეგისტრირებული სახელმწიფო საკუთრებად, მოაწიონ სარეკრეაციო სივრცე.

თენგიზ მთვარელიშვილმა განმარტა, რომ „ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. საკრებულოს თოთოეულ წევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაცია, მათი ინტერესების გათვალისწინება და ინიციატივების მხარდაჭერა. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ და ვიმსჯელოთ ამ შემთხვევაში ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების ინიციატივაზე და აქტიურად ვითანამშრომლოთ ამ დასახლებაში რეკრეაციული პროექტის განხორციელებაზე“.

გელა ესიტაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას ქალაქში არსებული რეკრეაციული ადგილების მოწყობის პრაქტიკა.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება, რომ მოქალაქეთა ინიციატივის განხორციელების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული იქნას მერიასთან ერთად საკითხის შესწავლა და მიეცეს მერიას რეკომენდაცია სახელმწიფოსთვის შესაბამისი მიმართვის მოსამზადებლად, რათა ზემოაღნიშნული ქონება გადმოეცეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში შემდგომში მასზე სარეკრეაციო სივრცის მოსაწყობად.

ლევან ბერძენაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: მოქალაქეთა ინიციატივის განხორციელების მიზნით დაწყებული იქნას მერიასთან ერთად საკითხის შესწავლა და მიეცეს მერიას რეკომენდაცია, მიმართოს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით **53.20.43.085**, გადმოცემაზე, რათა შემდგომში მასზე მოეწყოს სარეკრეაციო სივრცე.

კომისიის თავმჯდომარე:

თ. ხაბ

თინათინ ხანჯალიაშვილი